

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.06.2022

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2022 წლის მაისი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 0.3 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 1.0 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 11.3 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები 19.6 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 15.7 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 1.8 პროცენტით. ამავე პერიოდში ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე ფასები შემცირდა 9.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის მაისში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის მაისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	111.3	11.27
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	119.6	0.51
C	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	115.7	12.15
10	კვების პროდუქტები	120.4	5.94
D	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი	90.6	-1.43
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით	101.8	0.05

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.06.2022

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე =100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge